ლელა რეხვიაშვილი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.56

მუსთერაპიის გამოყენების ფორმები და მეთოდები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან

აბსტრაქტი. მუსიკა შეიძლება გახდეს ჩვეულებრივი და განვითარებაში პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეების, ასევე რთულ ცხოვრებისეულ პირობებში მყოფი და დევიანტური ქცევის მქონე ბავშვების ემოციონალური მდგომარეობის პედაგოგიური რეგულირების შეუცვლელი საშუალება.

სკოლაში მასწავლებელმა შშმ მოსწავლეებთან მუშაობისას შეიძლება წარმატებით გამოიყენოს მუსიკის შესაძლებლობები. მუსიკის ზემოქმედების ფორმები და მეთოდები მრავალფეროვანია, ის არ უნდა ატარებდეს ძალდატანებით ხასიათს და მოსწავლე უნდა გამოხატავდეს ურთიერთობის მზაობას.

სასიმღერო ჟანრი განსაკუთრებულად ახლო და მისაწვდომია ბავშვებისათვის. სიმღერა არეგულირებს სუნთქვის რიტმს, პულსს, წნევას, ტემპერატურას, ხსნის დაძაბულობას. ამიტომ ზუსტად შერჩეული მელოდია სასიკეთო გავლენას ახდენს მათზე და აჩქარებს გამოჯანმრთელებას.

მუსიკის აღქმა (მოსმენა) ბავშვებისთვის მეტად საყვარელ და საინტერესო საქმიანობას წარმოადგენს. მასწავლებელმა ბავშვებს შეიძლება შესთავაზოს სპეციალურად შერჩეული მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა და ამ პროცესში აღძრული საკუთარი განცდების, ფიქრების, მოგონებების განხილვა. შემდგომ, იქმნება შთაბეჭდილება - სახე (ნახატი, ნაკეთობა პლასტელინისა თუ თიხისგან). ეს ხერხი ეხმარება ბავშვს გახსნაში, საკუთარი თავის, შინაგანი ჰარმონიის "გაგონებაში", სტრესის მოხსნაში.

შშმ ბავშვებთან მუშაობისას ძალიან ეფექტურია *თამაშის* გამოყენება. კორექციული ამოცანების თამაშის ფორმით გადაწყვეტა ბავშვებისა და უფროსების ერთობლივი შემოქმედების კეთილგანწყობილი, ემოციურად

---

[1] **ლელა რეხვიაშვილი.** პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

დატვირთული ატმოსფეროს შექმნის შესაძლებლობას იძლევა, აქეზებს თითოეულ ბავშვს მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს შემეცნებითი ინტერესისა და ყურადღების შენარჩუნებას.

მუსიკისა და თამაშის შეხამება იწვევს ბევრ ემოციას, ბავშვები სიამოვნებით ერთვებიან საქმიანობაში. ისინი მზად არიან შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომლის უნარი არ აქვთ სხვა მეცადინეობებზე. მათ უჩნდებათ ერთმანეთთან და უფროსებთან ურთიერთობის, გარშემომყოფების ქმედების მიბაძვის სურვილი. წყდება აგრეთვე შემეცნებითი სფეროს ამოცანები: ბავშვები ცნობენ ნაცნობ მელოდიებს, გამოიცნობენ სხვადასხვა ინსტრუმენტის ჟღერადობას, ანუ თვალსაჩინო ხდება სმენითი აღქმის, მეხსიერების, ყურადღების ფორმირების დადებითი დინამიკა.

სწორედ მუსიკალური თამაშების მეშვეობით ბავშვები იწყებენ სიმღერას და მარტივი სიტყვების წარმოთქმას, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ისინი განიცდიან აქტიური მეტყველების დაუფლებაში გარკვეულ სირთულეებს.

საკვანძო სიტყვები: მუსთერაპია, მეთოდები, შშმ მოსწავლეები, ემოცია, შემეცნება, შთაბეჭდილება, თამაში, მელოდია, ყურადღება, დადებითი დინამიკა.

Lela Rekhviashvili[2]
Sokhumi State University

Forms and methods of using mustherapy with students with disabilities

Abstract. Music can become an indispensable tool for the pedagogical regulation of normal and developmental problematic school children, as well as children with difficult living conditions and deviant behavior.

In a public school a teacher can successfully use the potential of music when working with students with disabilities. The forms and methods of this impact are quite diverse. The main thing is that is does not involve force and the student expresses his readiness to interact with music.

The singing genre is especially close and accessible to children. Singing regulates breathing rhythm, pulse, pressure, temperature, relieves tension. Therefore, a precisely selected melody has a beneficial effect on them and accelerates recovery.

---

[2] **Lela Rekhviashvili**. Doctor of Pedagogy, Associate Professor of Sukhumi State University.

Perceiving (listening to) music is a very favorite and interesting activity for children. The teacher can offer the children to listen to specially selected musical works and discuss their own feelings, thoughts, memories evoked in the process. Next, the impression is created - the face (painting, made of plasticine or clay). This method helps the child to open, to "hear" inner harmony, to relieve stress.

Using *games* is very effective when working with children with disabilities. Solving corrective tasks in the form of a game allows children and adults to create a benevolent, emotionally charged atmosphere of joint creativity, encourages each child to participate in the learning process, helps to maintain cognitive interest and attention.

The combination of music and play evokes a lot of emotions, children enjoy engaging in activities. They are willing to perform actions that they are not capable of in other subjects. They have a desire to interact with each other and their superiors, to imitate the actions of those around them. Cognitive tasks are also solved: children recognize familiar melodies, guess the sound of different instruments, ie the positive dynamics of auditory perception, memory, attention formation becomes visible.

It is through musical games that children begin to sing and utter simple words, while in normal life they experience some difficulty in mastering active speech.

Key words: mouse therapy, methods, disabled students, emotion, cognition, impression, game, melody, attention, positive dynamics.

ძირითადი კვლევა. მუსიკა შეიძლება გახდეს ჩვეულებრივი და განვითარებაში პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეების, ასევე რთულ ცხოვრებისეულ პირობებში მყოფი და დევიანტური ქცევის მქონე ბავშვების ემოციონალური მდგომარეობის პედაგოგიური რეგულირების შეუცვლელი საშუალება.

მუსიკოთერაპია გულისხმობს მუსიკის გამოყენებას სამკურნალო თვალსაზრისით. მისი მიზანია პიროვნების ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური თუ სოციალური ფუნქციონირების აღდგენა, გაზრდა ან შენარჩუნება (ძაძამია, 2014.)

მუსიკალური თერაპია ემსახურება: მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი და სოციალური უნარების განვითარებას, ჩართულობას, თვითშეფასების ამაღლებას, ქცევის მართვას, რელაქსაციას, ყურადღების კონცენტრირებას, ემოციურ და სულიერ განვითარებას, სენსორულ ინტეგრაციას, სხეულისა და სივრცის შეგრძნებას, მოტორიკას, წარმოსახვასა და შემოქმედებითობას.

მუსიკით მკურნალობა (მუსთერაპია) წარმატებით გამოიყენებოდა ანტიკურ ხანაშიც, მაგრამ უფრო სერიოზული სახე XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მიიღო. ამერიკელმა კომპოზიტორმა პოლ ნორდოფმა და ინგლისელმა ფსიქოთერაპევტმა კლაივ რობინსმა ლონდონის ერთ-ერთ საბავშვო სკოლა-ინტერნატში, სადაც აუტისტი ბავშვებიც ცხოვრობდნენ, ერთობლივი მუშაობით საოცარი შედეგები მიიღეს. მათ მუსიკა კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენეს.

ბავშვები, რომლებიც საერთოდ ვერ მეტყველებდნენ, ფაქტობრივად, მხოლოდ კიოდნენ, ტიროდენ ან ყვიროდნენ, თერაპიის შემდეგ აალაპარაკეს. არსებობს ამ გაკვეთილების ჩანაწერები – ბავშვი კივილით შემოდის, ნორდოფი მის მიერ გამოცებულ ბგერას ნოტად იღებს, მის კივილს – მოტივად და ულამაზეს მელოდიას ქმნის... ნორდოფს და რობინსს მიაჩნდათ, რომ ბავშვის ყვირილი მხოლოდ კონტაქტის მცდელობის საშუალება იყო, რადგან მას მეტყველებით კომუნიკაცია არ შეეძლო. არსებობს ჩანაწერი პატარა აუტისტ ბიჭ ედვარდზე: მეორე შეხ¬ვედრისას ის ისევე ყვირის, როგორც პირველი შეხვედრისას, ნორდოფიც იმავე მოტივით ეგებება და თან მისალმებას ასწავლის... სამი გაკვე¬თილის შემდეგ ბავშვმა "ჰელოუ" თქვა, მერე კი ამღერდა, სიმღერით ამეტყველდა (აშუღაშვილი, 2018).

საჯარო სკოლაში მასწავლებელმა შშმ მოსწავლეებთან მუშაობისას შეიძლება წარმატებით გამოიყენოს მუსიკის შესაძლებლობები. ამ ზემოქმედების ფორმები და მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია. მთავარია, ის არ ატარებდეს ძალდატანებით ხასიათს და მოსწავლე გამოხატავდეს მუსიკასთან ურთიერთობის მზაობას.

მუსთერაპიის სარგებლიანობა შშმ ბავშვებისთვის იმაშია, რომ ის:

- ✓ ეხმარება ნდობის განმტკიცებაში, ურთიერთგაგებაში;
- ✓ ეხმარება თერაპიის პროცესის დაჩქარებაში, ვინაიდან შინაგანი განცდები უფრო ადვილად გამოხატვადია მუსიკის საშუალებით, ვიდრე საუბრისას;
- ✓ მუსიკა აძლიერებს ყურადღებას გრძნობებისადმი, წარმოადგენს მასალას, რომელიც აძლიერებს შეგნებას;
- ✓ ირიბად მაღლდება მუსიკალური კომპეტენცია, ჩნდება შინაგანი კონტროლისა და წესრიგის გრძნობა.

შშმ ბავშვების სამყაროს შესახებ წარმოდგენები ძალიან ვიწროა, მათი მეტყველება, მხედველობითი და სმენითი აღქმა სუსტად განვითარებულია; აქვთ არამდგრადი ყურადღება, მოძრაობის ცუდი კოორდინაცია,

სუსტი ნერვული სისტემა. როგორც წესი, ამ ბავშვებს არ გააჩნიათ მარცვლებით მოძახილის და მარტივი მელოდიის ინტონირების უნარ-ჩვევები. პატარებს არ შეუძლიათ მოძრაობის მუსიკასთან შეთანხმება, მოქმედების მხედველობით და სმენით სიგნალებთან დაქვემდებარება, მაგრამ მათ აქვთ მიმბაძველობის თვისება, რომელიც ვლინდება როგორც მუსიკალურ-რიტმულ მოძრაობებში, ასევე ხმის აყოლებასა და სიმღერაში (Минько, 2014).

აქტუალურია კარლ კენიგის მოსაზრება: „რომ მივაღწიოთ მუსიკის ღრმა ზემოქმედებას ორგანიზმზე, ავადმყოფმა თავად უნდა იმოქმედოს აქტიურად (იმღეროს, დაუკრას მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მოძრაობაში გამოხატოს მუსიკა). მუსიკოთერაპიის არსს ჩვენ ვხედავთ უნარში, გამოვიწვიოთ „განსაკუთრებულ“ ბავშვში დადებითი ემოციები, რომლებიც სამკურნალო ზემოქმედებას ახდენენ ფსიქოსომატურ და ფსიქოემოციურ პროცესებზე, იწვევენ ბავშვის სარეზერვო ძალების მობილიზებას. განაპირობებენ მის შემოქმედებას ხელოვნების სხვადასხვა სფეროში და ზოგადად ცხოვრებაში“(Попок , 2012).

სასიმღერო ჟანრი განსაკუთრებულად ახლო და მისაწვდომია ბავშვებისათვის. ადამიანის ორგანიზმი ფუნქციონირებს უჯრედების ელექტრომაგნიტური და აკუსტიკური ტალღების მიმოცვლის შედეგად. ამასთან ჩვენი სხეულის თითოეული ორგანოსთვის, ისევე როგორც ცალკეული უჯრედებისთვის, დამახასიათებელია საკუთარი რხევის სიხშირე. ამერიკელი მეცნიერი გორდონ შოუ ჯანმრთელობაზე მუსიკის გავლენას ხსნის ბგერების ვიბრაციის ზემოქმედებით. ბგერები ქმნის ენერგეტიკულ ველებს, რომელთაც რეზონანსში მოჰყავს ჩვენი ორგანიზმის ყოველი უჯრედი. ჩვენ ვშთანთქავთ მუსიკალურ ენერგიას, რომელიც არეგულირებს ჩვენი სუნთქვის რიტმს, პულსს, წნევას, ტემპერატურას, ხსნის დაძაბულობას. ამიტომ ზუსტად შერჩეული მელოდია სასიკეთო გავლენას ახდენს ავადმყოფ ადამიანებზე და აჩქარებს გამოჯანმრთელებას (ჯანჯღავა).

გუნდური სიმღერა - საქმიანობის სახეა, რომელიც ამდიდრებს გარემომცველი სამყაროს შესახებ ცოდნას, აღვივებს სიყვარულს ხელოვნებისადმი, ასწავლის მუსიკის მოსმენას და გაგებას, ეხმარება შინაგანი ჰარმონიის დაცვაში და საკუთარ თავში ღრმა სულიერი ბუნების აღმოჩენაში. მოდელირებისთვის გუნდური სიმღერის შესაძლებლოებები რეალიზდებიან თვითკონტროლის უნარ-ჩვევების შეძენაში და პრობლემურ სიტუაციებზე რეაქციების ქონაში. სიმღერაში მეცადინეობისას ბავშვებმა უნდა შეისწავლონ სუნთქვის ხელოვნება. გარდა ამისა, სწორი ვოკალური სუნთქვა

ასტიმულირებს გულის მუშაობას, ხსნის დაღლილობას და დაქანცულობას. ბავშვებში სიმღერის სწავლება უნდა დაიწყოს ფალცეტის ათვისებით, ნამღერი უნდა იყოს ჩუმი და ამავდროულად წკრიალა - როგორც ზანზალაკის რეკვის ხმა, ჩიტის გალობა. ხშირად ბავშვები არ არიან ამისთვის მზად, ღელავენ, ხანაც სტრესულ მდგომარეობამდეც მიდიან. პედაგოგმა უნდა ეძიოს ასეთ ბავშვებზე სხვადასხვა ზემოქმედების ხერხები ინტონაციურად სუფთა ნამღერის მისაღწევად და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ცნობილი პედაგოგი ვ. ა შერემეტიევი ვარაუდობს: "ფალცეტით სწორი სიმღერა შედარებით მაღალ ნოტებზე მოითხოვს ვოკალური აპარატისგან უფრო მეტ ენერგეტიკულ დანახარჯს, ვიდრე სიმღერა სასაუბრო მანერით და დაბალი ტესიტურით. პედაგოგმა შეგნებულად უნდა მოუმატოს დაძაბულობას, ინტენსივობას, მეცადინეობების ტემპს, რათა ჩართოს ბავშვები მუშაობაში. ის ბავშვები, რომლებიც გუნდში მღერიან ან დაკავებულნი არიან ინდივიდუალური ვოკალური გუნდური მუშაობით, ცდილობენ შეაღწიონ სიმღერის ინტონაციურ თავისებურებებში და საკუთარი "მე-ს" თავისებურებებშიც. საკუთარი "მე"-ს გაცნობიერება მოიცავს სსსმ ბავშვების სოციალურ-ფსიქოლოგიური, ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის საფუძვლებს. ხმის განვითარებაზე, ტემბრის, მუსიკალური მეხსიერების და ასევე სიმღერების ინტონაციებზე მუშაობის შედეგები მსწრაფლვე არ ჩანს, არამედ წლების შემდეგ იჩენენ ხოლმე თავს. ბავშვები, რომლებიც მღერიან საგუნდო სიმღერებს გაცნობიერებულად, სწრაფად იმახსოვრებენ ტექტს და უფრო მარტივად წვდებიან ნაწარმოების სიუჟეტს. (Попок , 2012)

მუსიკის აღქმა (მოსმენა) ბავშვებისთვის მეტად საყვარელ და საინტერესო საქმიანობას წარმოადგენს. ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ სპეციალურად შერჩეული მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა და ამ პროცესში აღძრული საკუთარი განცდების, ფიქრების, მოგონებების განხილვა. შემდგომ, იქმნება შთაბეჭდილება - სახე (ნახატი, ნაკეთობა პლასტელინისა თუ თიხისგან). ეს ხერხი ეხმარება ბავშვს გახსნაში, საკუთარი თავის, შინაგანი ჰარმონიის „გაგონებაში", სტრესის მოხსნაში.

მუსიკის გამოყენება ემოციების გამოსაცნობად. მუსიკა და გრძნობები ურთიერთდამოკიდებულია, ამიტომ შეიძლება მუსიკის გამოყენება ემოციების გამოსაცნობად. ამ მიზნით მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები სახის განსხვავებული მიმიკის გამოსახულებით: *გახარებული, განრისხებული, მოწყენილი, გაკვირვებული, ჩაფიქრებული*...მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის შემდეგ ბავშვებმა უნდა ასწიონ მუსიკის ხასიათის შესატ-

ყვისი ბარათი. შემდგომში ბავშვები სწავლობენ აღძრული გრძნობების სიტყვიერად გადმოცემას და „ხასიათის ბარათებთან“ შეფარდებას. მუსიკალური სახეების და საკუთარი გრძნობების დასახასიათებლად ისინი იყენებენ პოლარულ განსაზღვრებებს: მხიარული-სევდიანი, მშვიდი-აღელვებული, მამაცი-მხდალი, ლამაზი-უშნო და სხვ. ეს ხერხი ეხმარება ბავშვებს საკუთარი ემოციური მდგომარეობის გაგებაში (Осипова, Уфимцева, 2006).

შშმ ბავშვებთან მუშაობისას ძალიან ეფექტურია თამაშის გამოყენება. კორექციული ამოცანების თამაშის ფორმით გადაწყვეტა ბავშვებისა და უფროსების ერთობლივი შემოქმედების კეთილგანწყობილი, ემოციურად დატვირთული ატმოსფეროს შექმნის შესაძლებლობას იძლევა, აქეზებს თითოეულ ბავშვს მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს შემეცნებითი ინტერესისა და ყურადღების შენარჩუნებას.

მათთან მუშაობისას უპირატესობა ენიჭება ისეთი აქტიური ფორმების გამოყენებას, როგორიცაა: *ფსიქოვარჯიში.* პროგრამულ ამოცანებთან ერთად სასურველია მეცადინეობებში ჩაირთოს:

- ყურადღების განვითარებაზე მიმართული თამაშები;
- მეხსიერების განვითარებაზე მიმართული თამაშები;
- მოძრაობის ავტომატიზმის დაძლევაზე მიმართული თამაშები;
- მოძრავი თამაშები;
- სხვადასხვა ემოციის გამოხატვაზე მიმართული თამაშები.

ამ თამაშების თავისებურება გამოიხატება მუსიკალურ თანხლებაში. მუსიკალური რიტმის მეშვეობით შეიძლება წონასწორობის დამყარება ბავშვის ნერვული სისტემის მოქმედებაში, ძალიან აგზნებული ტემპერამენტის დაოკება, შებოჭილობის მოხსნა, არასწორი და ზედმეტი მოძრაობების დარეგულირება.

ლოგორიტმული მეცადინეობები. შშმ ბავშვებთან თერაპიული მუსიკალური მუშაობის სახეს წარმოადგენს სიუჟეტური ლოგორიტმული მეცადინეობები, რომელშიც გამოიყენება თამაშობითი მოტივაცია, პანტომიმა, მუსიკალური მოთხრობები და იმპროვიზაცია.

მუსიკა ამ მეცადინეობებში წარმოადგენს მოძრაობის მაორგანიზებელ საწყისს. ყოველი მუსიკალური სიგნალი იწვევს მყისიერ მოძრაობით რექციას. ეს ყურადღების, სმენითი აღქმის, სივრცითი ორიენტირების, მეტყველების დარღვევის კორექციის (მაგალითად, ფონემტური სმენის) განვითარების საშუალებას იძლევა. ბავშვები ადვილად ძლევენ ლოგორიტმიკის დავალებებს, რადგან მათ იტაცებს თამაშის ფორმა.

მეცადინეობები აიგება შემდეგი თანმიმდევრობით:

- რიტმული მოთელვა;
- ყურადღების განმავითარებელი სავარჯიშო;
- კუნთოვანი ტონუსის მარეგულირებელი სავარჯიშო;
- ტემპისა და რიტმის გრძნობის განმავითარებელი სავარჯიშო;
- სიტყვის მოძრაობასთან კოორდინაციის განმავითარებელი სავარჯიშო;
- მუსიკის მოსმენა;
- სიმღერა;
- ხელის თითების მოძრაობის განმავითარებელი სავარჯიშო;
- თამაში;
- რელაქსაციაზე მიმართული დამამთავრებელი სავარჯიშო, რომლის მიზანია ბავშვების დამშვიდება, მათი ყურადღების გადართვა სხვა საქმიანობაზე.

მუსიკალურ-დიდაქტიკური თამაშები. დიდაქტიკური თამაშები სენსორული განვითარების, კერძოდ, სმენითი შეგრძნებების და აღქმის, უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს.

მუსიკისა და თამაშის შეხამება იწვევს ბევრ ემოციას, ბავშვები სიამოვნებით ერთვებიან საქმიანობაში. ისინი მზად არიან შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომლის უნარი არ აქვთ სხვა მეცადინეობებზე. მათ უჩნდებათ ერთმანეთთან და უფროსებთან ურთიერთობის, გარშემომყოფების ქმედების მიბაძვის სურვილი. მოძრაობა კოორდინირებული ხდება, ბავშვი სწავლობს მუსიკალური ინსტრუმენტიდან ბგერის გამოღებას, სხვა ბავშვების გვერდით მოძრაობას დაჯახების გარეშე, ვითარდება მსხვილი და ნატიფი მოტორიკა. ბევრი მათგანი დამოუკიდებლად ცდილობს შეცვალოს მოძრაობა მუსიკის ჟღერადობის შესაბამისად.

წყდება აგრეთვე შემეცნებითი სფეროს ამოცანები: ბავშვები ცნობენ ნაცნობ მელოდიებს, გამოიცნობენ სხვადასხვა ინსტრუმენტის ჟღერადობას, ანუ თვალსაჩინო ხდება სმენითი აღქმის, მეხსიერების, ყურადღების ფორმირების დადებითი დინამიკა. სწორედ მუსიკალური თამაშების მეშვეობით ბავშვები იწყებენ სიმღერას და მარტივი სიტყვების წარმოთქმას, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ისინი განიცდიან აქტიური მეტყველების დაუფლებაში გარკვეულ სირთულეებს (Минько. 2014)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობისას საჭიროა გარკვეული უნარ-ჩვევების ქონა. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება

ფსიქოლოგიური კომფორტის ატმოსფეროს შექმნაში, რაც იძლევა ბავშვის სარეაბილიტაციო პერიოდის დადებითი დინამიკის მიღწევის საშუალებას, მეორე რიგში კი - ბავშვთან კონტაქტის დამყარებაში. ასეთი რამ შესაძლებელია მიმიკის, გამოხედვის, ღიმილის, ჟესტის, მოფერებით საუბრის და რაც მთავარია, დადებითი ემოციონალური განწყობით. მესამე რიგში, თავად პედაგოგისთვის აუცილებელია მუდმივად მიისწრაფვოდეს სრულყოფილებისაკენ, შეისწავლოს კორექციული პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, მუსიკათერაპიის და ა.შ., სფეროებში არსებული უახლესი ლიტერატურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აშუღაშვილი (2018) აშუღაშვილი მარი. მუსიკისა და სიყვარულის თერაპია. ჟურნალი ავერსი #137. ელ-ვერსია: https://www.aversi.ge/cnobari/1138/musikisa-da-siyvarulis-Terapia

ძაძამია (2014) ძაძამია ნატა, მუსიკა და მისი თერაპიული დანიშნულება. დავითიანნის ფსიქოლოგიის ცენტრი. ელ. ვერსია: http://psychology-commetee.blogspot.com/2014/05/blog-post_25.html

ჯანჯღავა (2018) ჯანჯღავა ნ. მუსიკა როგორც მკურნალი . ელ-ვერსია: http-://natiajanjgava.blogspot.com/p/blog-page_27.html

Минько (2014) Минько Л. Р. Музыкальное воспитание детей с ограниченными возможностями здоровья детей. ელ-ვერსია: https://nsportal.-ru/shkola/muzyka/library/2014/12/07/muzykalnoe-vospitanie-detey-s-ogranichennymi-vozmozhnostyami

Попок (2012) Попок А. Г. Музыкотерапия для детей с ограниченными возможностями ელ-ვერსია: https://cyberleninka.ru/article/n/muzykoterapi-ya-dlya-detey-s-ogr-anichennymi-vozmozhnostyami

Осипова, Уфимцева (2006) Осипова Н., Уфимцева Л., Артпедагогика- лекарство от стресса. ელ-ვერსია: http://zdd.1september.ru/article.php?ID=-200602306